ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და საქართველო

ანალიზი და ანგარიში

9 დეკემბერი, 2010
თბილისი

რას ნიშნავს ჩვენთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხალხში გავრცელებული - სტრასბურგის სასამართლოს სახელით.

ქვემოთ შევეცადეთ, საინტერესო სტატისტიკა ისე დაგველაგებინა, რომ რამდენიმე სხვადასხვა ჭრილი დაგვენახა – თუ რამდენად დიდია (ზრდადია) საქართველოს საზოგადოების ინტერესი და აქტივობა სტრასბურგის სასამართლოსთან მიმართებაში, რამდენად შესაბამისია ჩვენი, საქართველოს მოქალაქეთა წარმომადგენლების ცოდნა და კვალიფიკაცია სასამართლოს წესებთან და სტანდარტებთან, რამდენად ეფექტიანია ჩვენი, საზოგადოების აქტივობა სასამართლოში, მაშინ, როდესაც მათ პროცედურებს საკმაო დრო სჭირდება და რამდენი ხანი გვჭირდება მოთმინების კონცენტრირება.
ასევე გვაინტერესებდა, რამდენი 'ფილტრი' არსებობს გაგზავნილი საჩივრების მიმართ, და ბოლოს, რამდენია შელახული უფლების ადამიანისთვის და, აქედან გამომდინარე – მთელი საზოგადოებისთვის მოგებული საჩივრები.

მოწოდებულ მიმოხილვაში მოვიტანეთ ის მასალა, რომელიც გამოქვეყნებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ვებგვერდზე[1]. ასევე, სტატისტიკის შესაგროვებლად განსაკუთრებით ვისარგებლეთ ჩვენი ორგანიზაციის ანგარიშებით.

1999 წელს საქართველომ ევროპულ კონვენციას ხელი მოაწერა და შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა მოახდინა მისი რატიფიცირება, ამრიგად 1999 წ. ის ძალაში შევიდა.

სტატისტიკა საქართველოზე:

საჩივრების შეფასება

2002 წელს აღინიშნა სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან ის ფაქტი, რომ საქართველოდან გაგზავნილი საჩივრებიდან გამოჩნდა პირველი საჩივარი, რომელმაც მისაღებობის ეტაპი გაიარა. ეს საჩივარი იყო აბსანძე საქართველოს წინააღმდეგ[2].

[1] http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/5192043B-33AC-4803-80AC-0D99EDF57FEF/0/Annual_Report_2001.pdf

[2] *Absandzé v. Georgia* (dec.), no. 57861/00, 15 October 2002.

2003 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა 703 განაჩენი, აქედან 12 – დიდმა პალატამ[3]. განაჩენები გამოტანილ იქნა ყველა მაღალი ხელშემკვრელი მხარის (სახელმწიფოს) მიმართ, გარდა ალბანეთის, ანდორას, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბოსნია-ჰერცოგოვინას, საქართველოს[4], ლიხტენშტეინის, აგრეთვე მაკედონისა და სლოვენიისა (ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკები).
ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ[5], რომელიც 2003 წლის სექტემბერში მოსმენის შემდეგ გამოცხადდა მისაღებად. საქმე წარმოადგენდა ჩეჩენი ეროვნების ადამიანთა ჯგუფის ექსტრადიციას ან ამის საშიშროებას საქართველოდან რუსეთში. იმავე წელს სასამართლო გეგმავს ფაქტების მოძიების მისიას ორივე ქვეყანაში-საქართველოსა და რუსეთში.

საქმეები, რომელთა იურისდიქცია პალატამ გადასცა დიდ პალატას 2003 წელს:

ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ, №71502/01 [მეორე სექცია]

მიმდინარე პერიოდში, მომჩივანი უკანონოდაა დაპატიმრებული აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელიც საქართველოს პასუხისმგებლობის ქვეშაა კონვენციის მიზნებთან შესაბამისობიდან გამომდინარე. აჭარის რეგიონის პასუხისმგებელი პირები უარს ამბობენ მომჩივნის შეწყალებაზე, რომელიც მან მიიღო საქართველოს პრეზიდენტისგან და ასევე, უზენაესი სასამართლოსგან. (კონვენციის მუხლი 5 §§ 1, 3 და 4 და მუხლები 6, 10 და 13, და კონვენციის ოქმი №4, მუხლი 2). საჩივარი გამოცხადდა მისაღებად 2002 წ. 12 ნოემბერს.

2004 წელს **ევროპის საბჭოს მესამე სამიტი** მიზნად ისახავდა ხვალინდელ ევროპაში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ ჩაღრმავებულ დისკუსიებს კონვენციის მომავალზე 21-ე საუკუნეში[6]. ამ დისკუსიებში ხაზგასმული უნდა ყოფილიყო ის გამოწვევები, რომლებიც პან-ევროპული განზომილების შედეგია და მოიცავს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ პოტენციური მომჩივნების (საჩივრების) რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 800 მილიონ ადამიანამდე, და კონვენცია ყველა ხელშემკვრელი მხარისთვის გახდა ეროვნული სამართლებრივი წესრიგის განუყოფელი ნაწილი. ამიტომ, სასამართლო პროცესშია, რათა განსაკუთრებული მიდგომა გამოიმუშაოს მისი გადაწყვეტილებების (განაჩენების) აღსრულებაზე[7]. ეს მიდგომა შეიძლება გაძლიერდეს მომავალში კონვენციის მუხლით 46 § 4 – და, ასევე, იმ უდავო ფაქტით, რომ ევროპის კავშირმა მიიღო თავისი **ქარტია ფუნდამენტურ უფლებებზე** და ამზადებს მას კონვენციაში შესატანად[8].

2005 წ. ბ-ნი ლუზიუს ვილდჰაბერი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტი აცხადებს[9], რომ იურისდიქციის საკითხი ნათლად უნდა იქნას ჩამოყალიბებული და აღნიშნავს, რომ სასამართლო ყოველთვის ხელმძღვანელობს იურისდიქციის კონცეფციით, რომელიც განსაზღვრავს კონვენციის მოცულობას.

---

[3] http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/6B93E29C-36E0-42C7-B982-721440881AC7/0/Annual_Report_2003.pdf

[4] *Assanidze v. Georgia* (dec.), no. 71503/01, 12 November 2002, concerning the refusal of the authorities of the Autonomous Republic of Ajaria to implement a judgment of the Georgian Supreme Court;

[5] *Shamayev and Others v. Georgia and Russia* (dec.), no. 36378/02, 16 September 2003, concerning the extradition of Chechens from Georgia to Russia.

[6] http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/B870F33E-10C0-442B-A914-A62177397C32/0/Annual_Report_2004.pdf

[7] *adopting a firmer approach to the execution of its judgments:* 1. See, for instance, *Maestri v. Italy* ([GC], no. 39748/98, judgment of 17 February 2004, to be reported in ECHR 2004-I), *Assanidze v. Georgia* ([GC], no. 71503/01, judgment of 8 April 2004, to be reported in ECHR 2004-II), *Ilaşcu and Others v. Moldova and Russia* ([GC], no. 48787/99, judgment of 8 July 2004, to be reported in ECHR 2004-VII), and *Broniowski v. Poland* ([GC], no. 31443/96, judgment of 22 June 2004, to be reported in ECHR 2004-V).

[8] The European Union has adopted its Charter of Fundamental Rights and is preparing to accede to the Convention.

[9] SPEECH GIVEN BY Mr LUZIUS WILDHABER, PRESIDENT OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, ON THE OCCASION OF THE OPENING OF THE JUDICIAL YEAR, 21 JANUARY 2005

იურისდიქციის კონცეფცია მოიცავს როგორც დაუსჯელობის, ისე პასუხისმგებლობის საკითხს, იდეას, როგორც ორ პარალელურ მიმართულებას, იმავდროულად, რაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კონვენციასთან მიმართებაში წარმოიშვა და მოხდა მისი დარღვევა.
საქმეში ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ[10] პრობლემა სხვაგვარად იყო წარმოდგენილი. მომჩივანი, ცნობილი პოლიტიკოსი ოპოზიციიდან, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაამართლა მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის კვლავ დაკავებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო მოხელეთა მიერ. საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიიღო ყველა პროცესუალური ზომა, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, რათა სასამართლოს გადაწყვეტილება მომჩივნის გათავისუფლებასთან დაკავშირებით განხორციელებულიყო, აგრეთვე მიმართეს ყველა პოლიტიკურ მეთოდს, რომ გადაჭრილიყო პრობლემა, მრავალგზის მიმართეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას, მოსთხოვეს მომჩივნის გათავისუფლება, მაგრამ უშედეგოდ. სასამართლომ დაადგინა, რომ არსებული ეროვნული სისტემის შიგნით, მომჩივნის პატიმრობის გაგრძელება იყო პირდაპირი დაუსჯელობა აჭარის ხელისუფლებისა. საქართველოს მთავრობამ დაადგინა, რომ ამ საფუძვლით ის ვერ იქნება პასუხისმგებელი სიტუაციაზე. თუმცა, სასამართლომ სხვაგვარი ხედვა შეიმუშავა. მან აღნიშნა, რომ კონვენციის თანახმად, მხოლოდ სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა არის საკითხი, მიუხედავად ეროვნული ხელისუფლებისა, რომელსაც კონვენციის დარღვევაზე უნდა მოეთხოვოს პასუხი (დაისაჯოს) ეროვნულ დონეზე.

სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის გაგრძელებული პატიმრობა არის საქართველოს იურისდიქციაში და საქართველოს, მხოლოდ საქართველოს პასუხისმგებლობის საკითხი კავშირშია კონვენციასთან მიმართებაში. შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი დაკავებული იყო თვითნებურად და საპირისპიროდ (საწინააღმდეგოდ) კონვენციის მუხლი 5 § 1 - და პირველად განაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში - რომ მოპასუხე მთავრობამ (სახელმწიფომ) უნდა უზრუნველყოს მომჩივნის გათავისუფლება უახლოეს ვადაში, რაც შეიძლება სწრაფად. და სწორედ იმავე დღეს, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება (განაჩენი) მიუვიდა სახელმწიფოს, მომჩივანი გათავისუფლდა აჭარის ციხიდან. ეს ფაქტი არის სწორედ განსაკუთრებული მაგალითი იმისა, რომ ეფექტიანია კონვენციით დაცული უფლებები და, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას.

2005 წელი, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ლაიტმოტივი არის ევოლუციური იურისპრუდენცია[11]. კონვენციის ასეთი დინამიური ინტერპრეტაცია შეიძლება ინახოს იმ საქმეებში, რომლებიცაა ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ და სხვები (ჩამოთვლილია კიდევ 19 სხვა საქმე სხვადასხვა ქვეყნის წინააღმდეგ)[12]

2005 წელს კონვენციის 3 მუხლის ქვემდებარე საკითხზე – **ექსტრადიციაზე** იმსჯელა სასამართლომ საქართველოსა და რუსეთთან მიმართებაში – შამაევი და სხვები საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ. ჩეჩენი ეროვნების 13 მომჩივანი იყო დაპატიმრებული საქართველოს სასაზღვრე პოლიციის მიერ და ბრალდება იყო საზღვრის უკანონო გადმოკვეთა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო გადმოტანით. მათი ექსტრადიცია მოითხოვა რუსეთის ხელისუფლებამ იმ საფუძვლით, რომ ისინი იყვნენ მეამბოხეები, რომლებიც ჩეჩნეთში იბრძოდნენ. საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ მოეხდინა მათი ექსტრადიცია და 2 დღის შემდეგ, მართლაც განახორციელა 5 მომჩივნის ექსტრადიცია რუსეთში, დანარჩენები, რომელთა ნაწილიც ქართველები იყვნენ, კვლავ საქართველოში იყვნენ დაკავებულნი. სასამართლოს

[10] [GC], no. 71503/01, judgment of 8 April 2004, to be reported in ECHR 2004-II.
[11] SPEECH GIVEN BY Mr LUZIUS WILDHABER, PRESIDENT OF THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS, ON THE OCCASION OF THE OPENING OF THE JUDICIAL YEAR, 20 JANUARY 2006
[12] http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/0434BA79-65A5-4F74-8390-87574DD3EDE3/0/Annual_Report_2005.pdf

მომჩივნებმა რამდენიმე მიმართულებით გააგზავნეს საჩივარი, კონკრეტულად კი კონვენციის მუხლები 2, 3 და 5 ის დარღვევაზე. რადგან ექსტრადიცია უკვე მომხდარი იყო 5 მომჩივანთან მიმართებაში, სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობდა სერიოზული და კარგად დასაბუთებული მიზეზი იმისთვის, რომ დაენახა რამდენად იყო თავად ექსტრადიცია მაღალი რისკი იმ ადამიანების მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისათვის.

სასამართლომ ცნო ის ფაქტი, რომ ექსტრადიციის აღსრულება რომელიმე მომჩივნის მიმართ, აუცილებლად იქნებოდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან იმავდროულად გაჩნდა ახალი საგანგაშო ფენომენი – იმ ჩეჩენი ეროვნების ადამიანთა დევნა და მოკვლა (განადგურება), რომლებმაც მიმართეს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს.

2005 წელს სასამართლომ იმსჯელა მისი გადაწყვეტილებების შეუსრულებლობაზე რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. მაგალითად მოიტანა განაჩენის შეუსრულებლობა საქმეზე - იზა შპს და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ[13], რომლის მიხედვითაც საქართველოს ხელისუფლებას კომპენსაცია უნდა გადაეხადა მომჩივნისთვის სასამართლოს გადაწყვეტილებით.

2008 წელს სასამართლომ საქართველოსთან მიმართებაში აღნიშნა შემდეგი[14]; წლის ბოლოსკენ, საქართველო-რუსეთის აგვისტოს კონფლიქტის გამო, სასამართლომ მიიღო 3000-ზე მეტი საჩივარი, რომელიც ამ კონფლიქტს უკავშირდება. ინდივიდუალური საჩივრების ამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანმა რაოდენობამ უფრო გაზარდა სასამართლოს ისედაც მაღალი სამუშაოს მოცულობა. ამასთან, სასამართლომ ასევე მიიღო სახელმწიფოთაშორისი საჩივარი საქართველოსგან რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, ასევე 2008 წ. აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით.



[13] *Iza Ltd and Makrakhidze v. Georgia*, no. 28537/02; *Amat-G Ltd and Mebagishvili v.Georgia*, no. 2507/03

[14] http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/D5B2847D-640D-4A09-A70A-7A1BE66563BB/0/ANNUAL_REPORT_2008.pdf





2009 წელს სასამართლომ რამდენიმე საკითხი აღნიშნა საქართველოსთან მიმართებით:[15] კონვენციის ქვემდებარეა ორი ტიპის საჩივარი: სახელმწიფოთაშორისი და ინდივიდუალური. გაცილებით ნაკლებია, იშვიათია პირველი ტიპის საჩივრები. გამორჩეული მაგალითებია ისეთი საჩივრები, როგორიც იყო ირლანდია დიდი ბრიტანეთის სამეფოს წინააღმდეგ 1970-იან წლებში, რომელიც ეხებოდა უსაფრთხოების ზომებს ჩრდილო ირლანდიაში და რამდენიმე საქმე კვიპროსიდან თურქეთის წინააღმდეგ, რომლებიც ეხებოდა ჩრდილო კვიპროსის სიტუაციას. ამჟამად სასამართლოშია ორი სახელმწიფოთაშორისი საჩივარი – საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (№1 და №2).
მართალია, რომ სასამართლოში მომმართველი მომჩივნების პოტენციური შესაძლო რაოდენობა 800 მილიონამდე შეიძლება იყოს და მათი საჩივრები კი ინდივიდუალური, მაგრამ, ამასთან ერთად, ამჟამად წარმოებაშია ორი სახელმწიფოთაშორისი საჩივარი და ორივე შეტანილია საქართველოდან რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.
2007 და 2008 წლებში საქართველომ შეიტანა საჩივრები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. მეორე საჩივარი ემთხვევა საქმეს, რომელიც იგივე სახელმწიფოებს მოიცავს და გაგზავნილია საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოში (ICJ) –ში – ეს ის სიტუაციაა, რომელიც საჭიროებს მეტ ახსნას.

სასამართლოს სტატისტიკა (1 ნოემბერი 1998 - 31 დეკემბერი 2009)

[15] http://www.echr.coe.int/NR/rdonlyres/C25277F5-BCAE-4401-BC9B- F58D015E4D54/0/Annual_Report_2009_versionProv.pdf

ქვეყანა	საჩივრები, რომლებიც შევიდა გადაწყვეტილებებ ის სტრუქტურებში	მიღებულად გამოცხადებული ან ამორიცხული საჩივრები	მთავრობისთვის შესასწავლად გადაგზავნილი საჩივრები	მისაღებად გამოცხადებული საჩივრები	განაჩენების საერთო რაოდენობა	განაჩენები (მეგობრული მორიგება)
საქართველო	4,374	293	176	36	35	3

საქართველოსთვის სასამართლო სტატისტიკა ერთიანი (1 ნოემბერი 1999-2009)

	1999	2000	2001	2002	2003	2004		2005	2006	2007	2008	2009
გაიგზავნა საჩივარი	10	26	29	42	44	60		91	117			
რეგისტრაციაში გაატარა საჩივარი	0	7	22	29	35	47		72	105	162	1,771	2,122
მიუღებლად(მიუღებლად) სცნო საჩივარი	0	2	3	13	24	17		48	33	40	27	86
დასაშვებად (მისაღებად) სცნო საჩივარი	0	0	0	2	1	1		5	1	11	5	8
გადაწყვეტილება გამოიტანა საჩივარზე	0	0	0	0	0	1 დარღვეულია	1 არ არის დარღვეული	3	5	8	6	11



(ცალკე გამოტანილი სურათი ომამდე, 2008 წლამდე.)




2500
2000
1500
1000
500
0
2008
2009
გაიგზავნა საჩივარი (1771 - 08; 2122 - 09)
რეგისტრაციაში გაატარა საჩივარი (1771 - 08; 2122 - 09)
მიუღებლად სცნო საჩივარი (27 - 08; 86 - 09)
მისაღებად სცნო საჩივარი (5 - 08; 8 - 09)
გადაწყვეტილება გამოიტანა საჩივარზე (6 - 08; 11 - 09)


12
10
8
6
4
2
0
2004
2005
2006
2007
2008
2009
განაჩენი - არ დაადგინა დარღვევა (4-'07; 2-'08)
განაჩენი - დაადგინა თუნდაც 1 დარღვევა
განაჩენი - მეგობრული მორიგება, სიიდან საქმის ამორიცხვა (1-'04)
განაჩენი - დაადგინა დარღვევა სულ (2-'04; 3-'05; 5-'06; 8-'07; 6-'08; 11-'09)

სასამართლოს 35 განაჩენი 1999-2009 საქართველოსთან მიმართებაში





სულ, სასამართლოს მიერ საქართველოსთან მიმართებით გამოტანილი განაჩენები დარღვევებზე კონვენციის მუხლების მიხედვით:



სასამართლოს მიერ კონვენციის რომელი მუხლების მიმართ არ დადგენილა ჯერ საერთოდ დარღვევები საქართველოში:



ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის მხრიდან სამართალწარმოების პროცესის მიმდინარეობა

2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით

გრაფიკი №1: სამართალწარმოების სტატისტიკა

ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის მიერ განხორციელებული სამართალწარმოება სტრასბურგისათვის	2007	2008	2009	2010	სულ
გააგზავნა საჩივარი	16	7	6	32	61
მოსამზადებელი ეტაპი				24	24
სულ სამართალწარმოებაშია სტრასბურგისთვის					85



გრაფიკი №2: კლიენტთა სქესობრივი მონაცემები

კლიენტთა სქესობრივი მონაცემები	
ქალი	38
მამაკაცი	64
სულ	102



გრაფიკი №3: კლიენტთა მდგომარეობა

კლიენტთა მდგომარეობა	
სულ	102
თავისუფლებაადკვეთილი	12



გრაფიკი №4: კლიენტთა გეოგრაფია

კლიენტთა გეოგრაფია	
თბილისიდან	44
საქართველოს რეგიონებიდან	41



გრაფიკი №5: წარმოებაშია საქმეები

წარმოებაშია საქმეები	
სულ	85
საქართველოს წინააღმდეგ	48
საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ	37



გრაფიკი №6: კლიენტთა მიმართ დარღვეულია უფლებები

კლიენტთა მიმართ დარღვეულია უფლებები	რაოდენობა
სულ კლიენტი	102
სულ დარღვეული უფლება	297



გრაფიკი №7: სულ კონვენციის მუხლები

სულ, ორგანიზაციის მიერ საქართველოსთან მიმართებით შეფასებული დარღვევები კონვენციის მუხლების მიხედვით: (გაგზავნილი საჩივრების სტატისტიკა)


50
45
40
35
30
25
20
15
10
5
0
მუხლი 1 - ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება (16)
მუხლი 2 - სიცოცხლის უფლება (27)
მუხლი 3 - წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვა (48)
მუხლი 5 - თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება (11)
მუხლი 6 - სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (37)
მუხლი 8 - პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (17)
მუხლი 10 - გამოხატვის თავისუფლება (18)
მუხლი 11 - შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (4)
მუხლი 13 - სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება (43)
მუხლი 14 - დისკრიმინაციის აკრძალვა (14)
კ.ო. 1-1 - საკუთრების დაცვა (28)
კ.ო. 7-2 - სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლება (1)
კ.ო. 12-1 - დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა (21)
მუხლი 6 13-თან (10)
მუხლი 13 6-თან (1)
მუხლი 3 13თან (1)

გრაფიკი №8:

ორგანიზაციის მიერ კონვენციის რომელ მუხლებთან მიმართ არ შემდგარა ჯერ საჩივრები საქართველოში



1.	საჩივარი – application
2.	მისაგებელი – remedy
3.	მისაღებობა – admissibility
4.	მომჩივანი – applicant

ანგარიში მოამზადა ნინო ციხისთავმა
პროგრამის კოორდინატორი,
ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი